თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 11

24 ივნისი 2026 წელი

ქ.თერჯოლა

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3.ჯემალ ისაკაძე, 4.სერგი ჯიხვაშვილი, 5.ომარ ჯიხვაშვილი, 6. ბადრი ბუცხრიკიძე, 7.ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. ზურაბ ჩხიკვაძე, 9. ლაშა ლანჩავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. ნინო ოქრუაძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282616674, 15.06.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1288.4 ათასი ლარით და შეადგენს 37269.3 ათას ლარს. საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1348.0 ათასი ლარით (გრანტი), საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 59.6 ათასი ლარით (გრანტი სატენდრო ეკონომია), ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 59.6 ათასი ლარით, ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1348.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-9, წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივნისის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე